

პროექტი №46

კალიუმ-ალუმინის შაბის მიღება საქართველოს ტრაქიტებიდან

პროექტის ხელმძღვანელი - მარლენ მჭედლიშვილი
დაფინანსება - 6000 ლარი

შესწავლით საქართველოს ტრაქიტებიდან კალიუმ-ალუმინის შაბის მიღების პროცესი და შემუშავებულია მისი მიღების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა. შემოთავაზებული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შაბის წარმოებისათვის სრულიად ახალი ნედლეულიდან მივიღოთ რკინის და სხვა მინარევებისგან პრაქტიკულად სუფთა პროდუქცია.

კალიუმ-ალუმინის შაბი გამოიყენება ტყავის და ბეწვის რეწვაში, მინის და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების წარმოებაში, სამღებრო საქმეში, ქაღალდის წარმოებაში, კოსმეტოლოგიაში და სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად; გამოიყენება აგრეთვე კვების მრეწველობაში პურის ცხობისას და საკონსერვო წარმოებაში, სასმელი, ჩამდინარე და კომუნალური წყლების გაწმენდაში და სხვ.

მზადდება მასალები ახალი ნედლეულიდან შაბის მიღების მეთოდის დასაპატენტებლად.